



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.492217510

თარიღი:24/06/2022

**გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 79**

**ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებისათვის” 272 ( ორას სამოცდათორმეტი ) ცალი ხის სანაგვე ურნის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 13 ივნისის (48-482216490) წერილი, რომელშიც ითხოვს მიეცეს თანხმობა, ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას” საკუთრებაში უსასყიდლოდ გადასცეს 272 ( ორას სამოცდათორმეტი ) ცალი ხის სანაგვე ურნა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 108-ე მუხლების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ ,, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანებას” საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს 272 ( ორას სამოცდათორმეტი ) ცალი ხის სანაგვე ურნა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერსა და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

